დამტკიცებულია
თჰუ აკადემიური საბჭოს 2024 წლის
30 დეკემბრის N13 გადაწყვეტილებით

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის
შეფასების წესი

შინაარსი:

1. ზოგადი დებულებები
2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები
3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები, და კრიტერიუმები. შეფასების შედეგების მართვა
4. დასკვნითი დებულებები
5. დანართი #1
6. დანართი #2

1. ზოგადი დებულებები

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) მიერ შემუშავებულ იქნა სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ინსტიტუციური წესი და შეფასების გაზომვადი ინდიკატორები/კრიტერიუმები. ამ მიზნით გაანალიზდა ESQR[1] და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომები კვლევის ხარისხის სტანდარტების, შეფასებისა და უნივერსიტეტების რეიტინგების განსაზღვრის შესახებ, ასევე, საქართველოს განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრის მიერ შემუშავებული ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნები.

სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის შეფასების ქვემოთ მოცემული ინდიკატორები და კრიტერიუმები ცხადია არ არის სრულყოფილი, შესაბამისად, პერიოდულად მოხდება მათი გადახედვა და სრულყოფა, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად.

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების მიზნები და ამოცანები:

2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ძირითადი მიზანია საგანმანათლებლო მიმართულებებისა და აკადემიური (მოწვეული) პერსონალის მიერ უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში შეტანილი წვლილის შეფასება, რაც ემსახურება სამეცნიერო კვლევების ხარისხის გაუმჯობესებას.

2.2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განმახორციელებელ ძირითად სტრუქტურულ ერთეულებს წარმოადგენენ ფაკულტეტები/საგანამანათლებლო პროგრამები (მათი აკადემიური (მოწვეული) პერსონალის შემადგენლობით).

2.3. სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ამოცანებია:

ა. ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება/გამოვლენა და მათი პრევენცია;

ბ. კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა, კვლევების პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით;

გ. შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსების მართვა.

3. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები და კრიტერიუმები. შეფასების შედეგების მართვა

3.1.აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ფასდება რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორებისა და კრიტერიუმების საფუძველზე. შეფასების დაწყებამდე აკადემიური პერსონალი ამზადებს სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ანგარიშს დანართი #1-ის მიხედვით და სასწავლო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 30 კალენდარული დღისა,

[1] (European Society for Quality Research), IDRC (The International Development Research Center), HCERES (High Council for the Evaluation of Reserach and Higher Education), AUBR (Assessment of university-based research), THE (Times Higher Education's)

წარუდგენს უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურს. ქულები მიენიჭება მხოლოდ იმ აქტივობებს, რომლებიც დოკუმენტურად იქნება დადასტურებული და წარმოდგენილი საბუთების ჩაბარების დროს, ელექტრონული ფორმატით. ამ წესით გათვალისწინებული აკადემიური პერსონალის შეფასების პროცესს კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, კვლევისა და განვითარების ცენტრთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების ფარგლებში დადგენილია შემდეგი ინდიკატორები:

ა. პროფესორის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 80 ქულას;

ბ. ასოცირებული პროფესორის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 70 ქულას;

გ. ასისტენტ პროფესორის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 60 ქულას;

დ. ასისტენტის წლიური ზღვრული შეფასება უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50 ქულას.

ხარისხის მართვის სამსახური აანალიზებს აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილ წლიურ ანგარიშებს აფასებს მათ სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით და აკადემიურ საბჭოსა და ფაკულტეტის დეკანებს აცნობს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგებს.

აკადემიური პერსონალის მიერ ზედიზედ ორჯერ სამეცნიერო აქტივობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლოა მიეცეს წერილობითი გაფრთხილება ან შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება.

3.2.ფაკულტეტის/საგანამანათლებლო მიმართულების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ფასდება მათივე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიური სამოქმედო გეგმის შესრულებისა და დანართი #2 -ის მიხედვით მომზადებული ანგარიშის საფუძველზე.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისთვის უნივერსიტეტის რექტორი ქმნის სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის წლიური შეფასების კომისიას, რომლის შემადგენლობაში შედიან: უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი; კვლევისა და განვითარების ცენტრის უფროსი; საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები და დოქტორის ხარისხის მქონე მოწვეული სპეციალისტი.

კომისიის საბოლოო შეფასება ეგზავნებათ ფაკულტეტის დეკანებს, რომლებიც ადგენენ კვლევის შედეგებზე რეაგირების ანაგრიშს, სადაც აისახება გამოვლენილი მნიშვნელოვანი შედეგები და რეაგირების მიზნით დაგეგმილი ანდა განხორციელებული აქტივობები. რეაგირებაზე მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის განვითარების სამსახურის უფროსი.

3.3.შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტის შეფასების ინდიკატორები, კრიტერიუმები და შეფასების შედეგების მართვა გაწერილია უნივერსიტეტის შიდა საგრანტო დაფინანსების სისტემის დოკუმენტში

4. **დასკვნითი დებულებები**

წინამდებარე წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინების საფუძველზე გამოცემული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დანართი#1

აკადემიური (მოწვეული) პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის თვითშეფასების ანგარიში

ფაკულტეტი ----------
საგანმანათლებლო მიმართულება----------
აკადემიური თანამდებობა----------
გვარი, სახელი----------

#	აქტივობა	მაქსიმალური ქულა ერთი აქტივობისთვის	დაანგარიშებული ქულა (კანდიდატის მიერ)	დაანგარიშებული ქულა (კომისიის მიერ)
	პუბლიკაციები			
1	სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, Google Scholar ან სხვა ბაზებში	80		
2	სხვა საერთაშორისო რეფერირებად ინდექსირებად ჟურნალებში (ნაბეჭდი ან ელექტრონული)	40		
3	არაინდექსირებულ სამეცნიერო ჟურნალში ან თჰუ-ს სამეცნიერო ჟურნალში	20		
	სასწავლო მეთოდური მუშაობა (მ.შ. სალექციო კურსი, სახელემძღვანელო/დამხმარე სახელმძღვანელო, მონოგრაფია)			
1	ავტორობა - ქართულ ენაზე გამოცემული	70		
2	ავტორობა - უცხოურ ენაზე გამოცემული	100		
	რედაქტირება და რეცენზენტობა			
1	საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის მთავარი რედაქტორობა	80		
2	სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის მთავარი რედაქტორობა	50		
3	საზღვარგარეთ გამოცემული სასწავლო მეთოდური შრომების რედაქტირება	30		

	საქართველოში გამოცემული სასწავლო მეთოდური შრომების რედაქტირება	20		
4	საზღვარგარეთ გამოცემული სასწავლო მეთოდური შრომების რეცენზირება	30		
5	საქართველოში გამოცემული სასწავლო მეთოდური შრომების რეცენზირება	20		
6	სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრობა	15		
სამეცნიერო ღონისძიებები				
1	საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და სხვა) მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით	15		
2	საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და სხვა) მონაწილეობა (გამოქვეყნებული სტატია)	30		
3	ადგილობრივ ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და სხვა) მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით	10		
4	ადგილობრივ ღონისძიებებში (კონფერენციები, სიმპოზიუმები, კონგრესები, ფორუმები და სხვა) მონაწილეობა (გამოქვეყნებული სტატია)	20		
	პროექტები			
1	საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ხელმძღვანელობა/ საერთაშორისო პროექტის ავტორობა	40		
2	საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ	25		

	მხარდაჭერილ პროექტში მონაწილეობის მიღება			
3	ადგილობრივი ორგანიზაციების ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი პროექტის ხელმძღვანელობა	25		
4	ადგილობრივი ორგანიზაციების ან სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილ პროექტში მონაწილეობის მიღება	15		
5	უნივერსიტეტის ორგანიზებით განხორციელებული პროექტის ავტორობა	25		
6	უნივერსიტეტის ორგანიზებით განხორციელებულ პროექტში მონაწილეობის მიღება	15		

<u>დანართი #2</u>

საგანმანათლებლო მიმართულების წლიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ფაკულტეტი----------
საგანმანათლებლო პროგრამა----------
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი----------

1	**სამეცნიერო საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულების თემატიკა** 1. კვლევის თემის დასახელება; 2. ხელმძღვანელი; 3. მონაწილენი; 4. მოსალოდნელი შედეგები; 5. ბიუჯეტი; 6. განხორციელების გრაფიკი; 7. შესრულების ინდიკატორები; 8. განხორციელების შუალედური მონიტორინგი; 9. საბოლოო ანგარიში.	
2	**პუბლიკაციები**	ავტორი გვარი, სახელი; ნაშრომის სახელწოდება, (ჟურნალის, კრებულის დასახელება და ნომერი) გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა
	1. 2.	
3	**სამეცნიერო კონფერენციები და სხვა სამეცნიერო ღონისძიებები**	ღონისძიების სახელწოდება; ჩატარების ადგილი, თარიღი; კონფერენციის მონაწილის გვარი, სახელი
	1. 2.	
4	**დაფინანსებულ სამეცნიერო პროექტი** **1. პროექტის სახელწოდება, სტატუსი;** **2. პროექტის აღწერა;**	

	3. პროექტის ხელმძღვანელი; 4. დაწყების და დასრულების თარიღი /ხანგრძლივობა; მონაწილეთა გვარი, სახელი; როლი პროექტში; დაფინანსების წყარო/ფორმა	
5	სტუდენტთა პუბლიკაციები	ავტორის გვარი, სახელი, ნაშრომის ხელმძღვანელი, გამოქვეყნების ადგილი, წელი, გვერდების რაოდენობა
	1. 2.	
6	სხვა აქტივობები/ღონისძიებები	
	1. 2.	